

საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტია

რედაქცია

კანტორა

გაზეთი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში დაწერილი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.

რედაქცია ღიაა: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტრიცის პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

მეუღლე კატო, შვილები ილარიონ მეუღლით ლოლათი, ტიანა მეუღლით, სონია, აკაკი, ვასო, ვალოდია და სხ. აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებთ, რომ კვირას, 28 სექტემბერს ქუთაისში საფიჩხის სასაფლაოს ეკლესიაზე გადანიშნული იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვილი განსვენებულის

მოსე (მასიკო) ნიკოს ძე ჟღენტის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

თხევით იყიდება ხელსაყრელ ფასათ საუკეთესო ფაბრიკის

ბანონი.

მართი: არქიელის მთა, ნადარევი შვილის სახლი. 1-3.

ანი მდგომარეობა პარ შუგვიანი.

ახალბო გვარდიის პირველ ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში ნ. დანიამ მეტად სანუგეშოდ დასაბუთებულად მდგომარეობა. მოხსენების მიხედვით ჩვენ არ არავითარი საფრთხე არ გვეუბნება და მაშასადამე საქართველო არის სოციალისტური რეფორმების განხორციელებისთვის.

საქართველოში სოციალისტური რეფორმების გაატარებლად უნდა იქნას შეიძლება.

მეორე მხრით, ინგლისმა თუ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე ხელი აიღო, ოსმალეთის საფრთხე გაგვიჩნდება და კვლავ რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოვექცევით, როგორც უროსა და გრდემოს შორის.

ასეთია ის პოლიტიკური გარეწრე, რომელზედაც დამოკიდებულია პარტია საქართველოს ბედი.

მაშ თავის მოტყუება არ გვარგია, არამედ სინამდვილეს მთელი მისი საშინელებით პირდაპირ უნდა გავუმართოთ თვალი, რომ თადარიგი დავიჭიროთ.

მაშ სოციალიზმის გარშემო ტკბილი ოცნებობას თავი უნდა დავანებოთ და ფიზიკური, რეალური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ.

იმავე დროს ევროპაში სოციალიზმის იდეა საბოლოოდ დამარცხდა.

გერმანიაში სოციალისტებმა უმრავლესობა ვერ მოიპოვეს და კოალიციური მთავრობაა, რომელმაც ქარხნებისა და მიწების ნაციონალიზაცია უარპყო და შემარცხენეთა რევოლუციური გამოხვედრებსა და მუშათა გაფიცვებს ებრძვის.

ამგვარივე კოალიციური მთავრობაა ავსტრიაშიც.

უნგრეთში ბოლშევიკურ კომუნისტური მოძრაობა სასტიკად დამარცხდა.

საფრანგეთში სოციალისტური მოძრაობის ჩამიწევიც კი არ იხმის.

ინგლისში მუშათა მოძრაობა ზოგიერთ რეფორმების ფარგალს არა სცილდება.

მეორე მხრით, ინგლისმა თუ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე ხელი აიღო, ოსმალეთის საფრთხე გაგვიჩნდება და კვლავ რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოვექცევით, როგორც უროსა და გრდემოს შორის.

ასეთია ის პოლიტიკური გარეწრე, რომელზედაც დამოკიდებულია პარტია საქართველოს ბედი.

მაშ თავის მოტყუება არ გვარგია, არამედ სინამდვილეს მთელი მისი საშინელებით პირდაპირ უნდა გავუმართოთ თვალი, რომ თადარიგი დავიჭიროთ.

მაშ სოციალიზმის გარშემო ტკბილი ოცნებობას თავი უნდა დავანებოთ და ფიზიკური, რეალური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ.

ე. ი. ერთი მხრით, უნდა დავიკრულები დასრულების შემდეგ ოსტროთ მჭიდრო კავშირი ანტანტასთან და მეორე მხრით, უნდა შევქნათ რეალური ძალა, ე. ი. ჯარი, მრეწველობა, მეურნეობა, ფინანსები.

ამისთვის კი უპირველესად სოციალისტურ რეფორმებზე ხელის აღებაა საჭირო.

აი საითკენ უნდა იყოს მიმართული მთავრობის პოლიტიკა.

გახილ წერეთელი.

ბათუმის ბაღი.

ბათუმის ჰორიზონტზე კვლავ იხსკვება შავი ღრუბლები.

დენიკინის აჩრდილი არ ასვენებს ქართულ სულს და საქართველოს საუკეთესო კუთხეს შავი გენერლების ღირსეული აგენტები და ეპატორენ.

გასული წლის აპრილიდან ბათუმს მზიანი დღეები არ ღირსებია. იგი მგლოვიარეთ არის. მისი ცრემლები უფროსი დის—საქართველოს ცრემლებს უერთდება.

დაუშრობელი იქნება ეს ცრემლები სანამ აქტი არ ასრულდება და განშორებული კუთხე თავის სხეულს არ შეუერთდება.

სახელმწიფოთა პოლიტიკის ცვალებადობას მრავალი ერისათვის მიუცია ჭრილობები. ერთა შორის ატეხილ ომს მრავალი სახელმწიფო სიკვდილის კარამდის მიუყვანია.

საქართველო ასეთ ჭრილობებს და დაავადებას თავის დასაბამიდანვე შეეჩვია. ბევრი ჭირ-ვარამი განუვლია მას თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ხანებში, მაგრამ მისი განახლების, განთავისუფლების დროიდან პირველი არის ის მწარე ტყვილები, რომელიც ბათუმის დაკარგვით იგება.

გვეგონა ბათუმის ტრადედია ოსმალების დამარცხებითვე დასრულდებოდა და ბათუმში კვლავ ქართული საქმე აღორძინდებოდა, აღიშრთებოდა ქართული ეროვნული დროშები, მაგრამ ბრესტის ხელშე-

შედეგის დასრულების შემდეგ ოსმალებმა დასტოვეს ეს კუთხე და ნამდვილი პატრონის ნაცვლად მას ნათ რეალური ძალა, ე. ი. ჯარი, მრეწველობა, მეურნეობა, ფინანსები.

რუსული რეეიში, რუსების ბატონობა მონობის დროსაც სულს ხდიდა ჩვენს ქვეყანას და მით უფრო ვერ შეეგუება მას თავისუფლების დროს.

მაგრამ მაინც ჩაიგდეს ხელში ბათუმის მხარე წითელი რუსეთის მიერ დენილ შავრახმელებმა და თავისი სრული ბატონობა გამოცხადეს.

პროვოკაციის ქსელში მოინდომეს გაებათ მთელი ბათუმის მხარე, მაგრამ მასლოვის უღღეურ მთავრობას კისერი მოეგრიხა: ძალა-უფლება ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში და დროებით დენიკინის აგენტები სოროებში შეძვრენ.

გვეგონა ასეთი მდგომარეობა გაგრძელდებოდა. იმის იმედიც გვქონდა, რომ ბათუმის მხარეს ქართველი მხედრობა დაიკავებდა, მაგრამ ეს საკითხი ჯერ გამოურკვეველია და არავინ იცის თუ როდის გაერთიანდება საქართველო ბათუმის შემოერთებით.

პირიქით ბათუმში დიდძალმა რუსობამ მოიყარა თავი და საქართველოსადმი მტრული განწყობილებით დენიკინს აწვდიან საქართველოს შესახებ ყოველგვარ ცნობებს. ბათუმის მხარეში ყველა დაწესებულებები რუსების ხელშია და მათი ეროვნული საბჭო ჩრდილოეთის შავი გენერლების მარჯვენა ხელია.

უკანასკნელი ცნობების თანახმად დენიკინს მჭიდრო დამოკიდებულება აქვს ბათუმთან. ყველა კერძო და წესებულებებში ეკატერინოპოლისიდან მიღებული ბრძანებები ვრცელდება და იქაური ბრძანებების ზრახვანი კეთდება.

ბათუმის მხარეს ოფიციალურად ბრიტანელი გუბერნატორი განაგებს, მაგრამ ფაქტიურად იქ რუსული ხელი მუშაობს და დენიკინს ნიადაგს უმზადებს.

დღიური.

მიღებულია ოფიციალური ბრძანება, რომ ინგლისელთა მხედრობის ნაწილი ბათომში რჩება.

მთიულეთში აჯანყება ფართო ხასიათს ღებულობს.

მოსალისეთა არმიამ აიღო ლგოვი, რილსკი და ბახმანი. ბოლშევიკებმა დასტოვეს ოსტროგისკი.

მოსალისებმა კიევში დახვრიტეს ანუელიკა ბალაბანოვა.

მოსკოვში ბოლშევიკებმა დახვრიტეს 67 კაცი მათ შორის პროფესორებიც იმყოფება.

გერმანია შეუდგა სამხედრო გეგმების აგებას.

როდემდის უნდა ვიყოთ ასეთ მდგომარეობაში?!

აი საკითხი და ჩვენს მთავრობას მართებს მიიღოს ზომები რომ ბათომის საკითხი გამორკვეული იქნეს.

ბრიტანეთის უმაღლეს წარმომადგენელ მისტერ ოლივერ უორდროპს აქ ღიდი დახმარება შეუძლია აღმოუჩინოს ჩვენს მთავრობას.

ზომები საჩქაროთ უნდა იქნეს მიღებული, რომ ბათომის ჰორიზონტზე შავი ღრუბლები გაიფანტოს და დენიკინის აჩრდილმა ქართული სული დაასვენოს.

ნიკ. ასათიანი.

პრესა.

ადმინისტრაციისათვის.

მთავრობამ დღემდის ვერ მოაწყო ადმინისტრაციული აპარატი ადმინისტრაცია ბოროტების ბუფელ გარდაიქცა, რასაც ყურადღებას არავინ აქცევს. ეს ითქმის უმთავრესად სოფლის ადმინისტრაციაზე, სადაც პარტიული თვალსაზრისით კომისრებათ ინიშნება ყოვლად უფარგისი პირები.

არ ვიცი რით ხელმძღვანელობს მთავრობა თუ თვითმართველობანი, როდესაც ასეთ პირებს ნიშნავს საბასუხისმგებლო ადგილებზე, მაგრამ აქ მუშაობს სოც.დემოკრატიული კოლექტივები და მისადინებობენ თავი სიანები უადგილოთ არ დარჩენ.

გაზ. „საბ. საქმე“ ახასიათებს დღევანდელ სოფლის ადმინისტრაციას და ამბობს:—

კომისრებმა ამდენად გაუტეხეს სახელი ახალ წყობილებას, რომ ხალხი უნდობლად უტკერის ყველაფერს და ყველას. როდესაც მას გადასახლება სთხოვენ, იგი დიქტიანებული ყოყნანობს, რადგან დარწმუნებული არაა, რომ მისგან გადახდილი ფული დანიშნულებას მიადწევს. ან კი რა საკვირველია; ამან მოიპარა, იმან გაფლანგა, იმან აშქარათ ხალხი მოატყუა და გაატყავა, გაიგონებთ სოფლებებისაგან ჩივილს და თითქმის არც ერთი მაგალითი არაა, რომ დამნაშავე სოფლის მოხელე მართლმსაჯულებას ჩავარდნოდეს ხელთ.

ამ აქონაწერში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ სოფლის ადმინი-

სტრაცია სჩადის კიდევ მეორე თვითნებობას.

როგორც ცნობილია ადმინისტრაცია ყოველ გვარ პარტიის გარეშე უნდა იდგეს. იგი უნდა ემსახუროს ხურებოდეს სინდისს და სამართალს, მაგრამ ისინი ყოველგვარ საზღვარს ლახავენ და იმ პირებს, რომელნიც სოც.დემოკრატიულ პარტიას არ ეკუთვნიან აპატიმრებენ და აწამებენ. ამ მოვლენამ ამ უკანასკნელ ხანებში სისტემატიური ხასიათი მიიღო. ადმინისტრაციის თვითნებობა ძლიერდება და მთავრობამ თუ დროზე არ მიიღო ზომები სოფლის ადმინისტრაციის ასეთი საქციელი ცუდ შედეგებს გამოიწვევს.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

სამუსიკო საზოგადოებაში დღეს 25 ეკენისთვის საღამოს 7 საათზე მუშაუა კლუბში „ინტერნაციონალი“ დანიშნულია სამუსიკო საზოგადოების წლიური კრება. გამგეობა სთხოვს საზოგადოებას კრებას დაესწრონ.

საყურადღებო ხელთაწერი წიგნი. მიხეილ ლევანისძე ლორთქიფანიძემ გადასცა საეთნოგრაფიო საზოგადოებას ხელთაწერი წიგნი „თხრობა“. წიგნი საყურადღებოა როგორც შინაარსის ისე კალიგრაფიის მხრივ. ეს წიგნი აღმოჩენილია განსვენებული სოფიო მიქელაძის ქალის ნივთებში.

ეკლესიის ვატება. გუშინ დღით გასტეხეს და გაძარცვეს საღვურის ახლო მდებარე ეკლესია.

ქუთაისის დასა. ქართულ დრამატიულ საზოგადოების ქუთაისის დასი უკვე შესდგა. მთავარ-რეჟისორათ მიწვეულია ქართველ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე ბ.ნი ალ. იმედაშვილი. დასში ქნნი მარო მღვიანი, ცაცა ამირეჯიბი არაბიძისა, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ლოლობერიძე, ბეჟანიშვილი, ბ.ნი ყალაბეგოვილი, ზარდალიშვილი, კორიშვილი, მურუსიძე, ხონელი, გამელაური ჩხიკვაძე, არაბიძე.

ქალაქის სკოლების ინსტრუქტორი. ქალაქის სასკოლო კომისიამ 23 სექტემბერს თავის სხდომაზე ქალაქის სკოლების ინსტრუქტორად აირჩია ს. ი. თოფურია.

ქალაქის თავის დაბრუნება. 23 სექტემბერს ქუთაისში დაბრუნდა ქალაქის მოურავი დ. ი. კალანდარაშვილი და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

ხელშეკრულება. 23 სექტემბერს ქალაქის გამგეობასა და სავაჭრო-სამრეწველო ბანკს შორის დაიდვა ხელშეკრულება, რომლის ძალით ბანკი ვალდებულია ქუთაისში შემოიტანოს დიდძალი ნავთი, მავუთი, ზეთი და გაყიდოს ქალაქის მიერ დაწესებულ ფასებში.

ოქმები. ბაზრის ზედამხედველმა ი. კუპრაშვილმა ხორცის გადამაღვისათვის ოქმი შეუყენა და 100 მანეთით დააჯარიმა მებოროცე წულუკიძე და ხორცის ზედმეტ ფასში გაყიდვისათვის ოქმი შეუყენა ს. აბულაძეს.

საერთო აგრანომთა ყრილობა. მოკლე ხანში მოწვეული იქმნება სრულიად საქართველოს ერთბაშა აგრანომების ყრილობა. ყრილობას დაესწრებიან: მაზრის და რაიონის აგრანომები და მაზრებიდან სპეციალური ინსტრუქტორები.

სახალხო სკოლებში. სამაზრო ერთბაშა ქუთაისის მაზრაში ყველა პირველ-დაწყებით სასწავლებლებში მოიწვია სამ-სამი მასწავლებელი.

სანოვაგის ფასი. გუშინ ქუთაისის მაზრაზე ფუთისმიწის ფასი ფასობდა 11-12 თუმანად.

ყურძნის ფასი. ყურძენი ფასობს 15 თუმანად.

საქსოვი ქარხანა. იტალიურ ფირმას „გელას“ განზრახული აქვს საქართველოში და არსოს დიდი საქსოვი ქარხანა.

ავტომობილები ხონისთვის. ქალაქთა კავშირმა ინგლისელთაგან შეიძინა ხუთი სამგზავრო ავტომობილი, რომლებიც გადაეცემა ქალაქ ხონს, ხონსა და მახლობელ ქალაქებს შუა მგზავრობის მოსაწყობად.

გაზ „ვოზროუდენიეს“ დახურვა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიხურა გაზეთი „ვოზროუდენიე“ და რედაქტორს ოპოზიციონის წინადადება მისცა დასტოვოს საქართველოს საზღვრები.

სიციხეები. ქუთაისში და მის მიდამოებში ხანგრძლივი ავდრების შემდეგ სიციხეები დაიკავა სოფლად იმედი აქვთ რომ შეჩერებული ყანები. დამწიფდება.

პრ.პნ.-დ.გ. ფრანკის შუბ. თხზულები.

დამფუძნებელს კრებაში შევიდა ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის შემდეგი შეკითხვები:

1. ქუთაისის ადმინისტრაციის განკარგულებით დაპატიმრებულ იქმნა და ციხეში ჩამწყვდეული ხონისა და

მისი შემადგენლობის სოფ. ქარხანა და ივანეშვილის მკვლელობაზე და რჩეული დეპუტატი, რომელსაც დავალებული ჰქონდა წარდგენა ბათომისათვის ხონის მცხოვრებ შუამდგომლობისა შესახებ ქ. ხონსაქალაქო მმართველობის გაუქმება და საერთო მმართველობის შექმნისა.

მოეხსენება თუ არა მთავრობა ყოველივე ეს და თუ მან ეს უწყობს რა ზომებს ღებულობს ის ხონის შემადგენელთა შეღავთულ უფლებების აღსადგენად და ამ ბოროტ-მედეების ჩამდენთა დასასჯელად?

2. ამა წლის 2 აპრილს ქ. თლისში ნაშუადღევს 6 საათზე გარდიცვდა ქუჩაში დააპატიმრებული მკვლელების მაზრის სოფ. ჩხუტელ მცხოვრები მოქალაქე ნიკოლოზ ჩარკვიანი. გვარდიისავე განკარგულებით პატიმარი დამწყვდეული ნა მეტეხის ციხეში, ამის შემდეგ მოქალაქე ჩარკვიანის წინააღმდეგ სხვა და სხვა დროს წარდგენილი მნა რამოდენიმე ბრალდება, რომლიც სასამართლოს ბრალმდებელთა არ სცნო საფუ. გლიანად და ბრალდებისაგან განთავისუფლებულ იქმნა მიუხედავად ამისა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით ქალაქე ჩარკვიანი დღემდე დაპატიმრებულია.

მოეხსენება თუ არა ყოველივე მთავრობას და თუ მოეხსენება ის ზომებს ღებულობს ის მოქალაქე ელემენტარული უფლებების დაცვად.

ბათომში

(საკუთარ კორესპოდენტისაგან) ინგლისელები რჩებიან. ბრიტანეთის სარდლობამ ბრძანებ მიიღო რომ ინგლისელთა ჯარი ბათომში დარჩება. ამის შესახებ ბათომის სამხედრო გუბერნატორმა ოფიციალური განცხადება გამოსცა.

მდგომარეობა ბათომში. ინგლისელთა მიერ ამ ეპიდ დროში გამოცხადებულია საადრესები. 11 საათის შემდეგ არაფერი უფლება არა აქვს ქუჩებში გამოვიდეს. ვინც ამ წესს დაარღვევს მათთვის ციხეში სვამენ ან და შინაგან აჯარაყებენ. განზრახული ამ დღეებში ვადა 11 საათი 12 ათად შესცვალონ.

ბათომში უცხოელები. ბათომი უცხოელებით არის დასახლებული. ქართველთა რიცხვი უმეტეს შემწეობა. ბათომი განსაკუთრებით ავსებულია რუსეთიდან ბოლშევიკების მიერ დევნილი შერაზმებულებით, რომელნიც მარჯვენა ხელის არიან შავი გენერალი დენიკინის ბათომში იპათმა სული მოითქვით თავს კარგად გრძობენ.

დენიკინი და ბათომი. დენიკინს ბათომთან მჭიდროდ უშირი აქვს. ბათომიდან საქართველს შესახებ მას მალმალე მიდის ყოველ



ბრძოლი ცნობები. ეკატერინოდარიდან მოცხადებული, იმ დროს, როდესაც აბრეშუნი ორჯელ მოდის ფოსტა. მს. კლინგენბენ ამ დღეებში ყოველ-მსაობად მოაწყონ მიმოსვლა ბა-რეკისა და ეკატერინოდარს შორის. ინგლისელთა წასვლის შიში. ინგლისელების ბათობიდან წა-შვლის საკითხზე გადმოხვეწილი რუ-ბა დააფიქრა. ისინი უიშობდენ რომ ინგლისელების წასვლის შემდეგ წყალობაში შემოვიდოდნენ ქართველები და თათრები, მაგრამ იმ ამბავმა რომ აქ ინგლისელები რჩებიან რუ-ბობა ძალიან გაახარა.

ინგლისელები და საქართველო.

ნაშ კრასი 203 №-ში დაბეჭ-დილია შემდეგი: ბათობში ჩამოვიდა საქართველოს გერობის მიერ გამოგზავნილი სამ-დრო კომისია, რომელსაც მიზნად შეისყიდოს ინგლისელებისგან მიხედრო სამეურნეო საგნები. ამის გამო ქალაქში უსაფუძვლო ბი გავრცელდა.

ნოვოზემსკის ახალი შეტევა.

ბათობში მოხალისეთა წყაროებიდან ტყობინებიან: წითელ არმიელებმა შეტევის ალგოვის მიმართულებით, ატარებული ბრძოლაა გოჩინოს ტყეში ჩასადგებათ. ბოლშევიკების შეტევის ორი მიზანი აქვს: კიევის უღუეს ზურგიდან ჩასცეს ლახვარი და ამავე დროს წაართვას მოხალი-ებს კურსკისაკენ შეტევის საშუა-ება.

ბრძოლა დონისათვის. ნოვო-კოლის სამხრეთით სასტიკი ბრძო-აა. მოხალისეთა ცნობით, საბჭო-ებ-12 დივიზია სასტიკად და-არცხდა.

მამონტოვის ჯარი.

მოხალისეთა სარდლობა იუწყება რომ გენერალ მამონტოვმა წაართვა ალტოკის ჯავშოსანი მატარებელი, რომელშიც მოთავსებული იყო შტა-ბის კასაში 64 მილიონი მანეთი ინა-ვსებოდა.

საფრანგეთის ახლო მო-მავალი.

რუსულ გაზეთ „ველიკიაა რო-ის“ ცნობით, საფრანგეთის საპარ-ლამენტო წრეებში ისეთი აზრი რეზიდალებს, რომ მაშინვე ხელშე-რულების რატიფიკაციის შემდეგ საფრანგეთის დღევანდელ კაბინეთს დააყენებენ. დეპუტატთა უმრავლე-ობა კლემანსოს ბრალსა სდებს რომლებით ზავის გაგრძელებაში და-ბაში, რომ მან ზავი პარლამენტის დეკლარაციაზე შექცა. ისინი ამტკუნებენ კლემანსოს აგ-დევ იმაშიც, რომ საფრანგეთში არ კიდევ სამხედრო წესებია, გა-

მოცხადებული, იმ დროს, როდესაც აბრეშუნი ორჯელ მოდის ფოსტა. მს. კლინგენბენ ამ დღეებში ყოველ-მსაობად მოაწყონ მიმოსვლა ბა-რეკისა და ეკატერინოდარს შორის. ინგლისელთა წასვლის შიში. ინგლისელების ბათობიდან წა-შვლის საკითხზე გადმოხვეწილი რუ-ბა დააფიქრა. ისინი უიშობდენ რომ ინგლისელების წასვლის შემდეგ წყალობაში შემოვიდოდნენ ქართველები და თათრები, მაგრამ იმ ამბავმა რომ აქ ინგლისელები რჩებიან რუ-ბობა ძალიან გაახარა.

ინგლისის პარლამენტში.

(ბოლშევიკური ცნობები).

მოსკოვი. ენკ. 22. ინგლისის პარლამენტში ჩერჩილმა განაცხადა, რომ გენერალ როლინსონს, რომელიც ჩრდილოეთ რუსეთში ინგ-ლისის ჯარს სარდლობს, გაეგზავნა ცნობა თუ რა დროს და რა გზით წამოიყვანოს ჯარი. არხანგელსკის და მურმანის ფრონტზე ინგლისის ავანტიურის დამარცხებას ჩერჩილი აბრალებს კოლჩაკს, რომელმაც თავის დროზე არ დაიხია შემდეგ, ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისს შეძლება არა აქვს ბალტიის მხრის პატარა სახელმწიფოებს ბოლშევი-კური საშიშროება ააშოროს.

ეგვიპტე

ეგვიპტეს ცნობილი პოლიტიკუ-რმა ხელმძღვანელმა აბდულ-სათარ-ბეი-ალ-ვასელმა, პარიზის საზავო კონფერენციაზე გამგზავრებულ ეგ-ვიპტეს დელეგაციის მიზნების შესა-ხებ წარმოთქმულ სიტყვაში განაც-ხადა: „დელეგაციის წევრებს დავა-ლებული აქვთ, რომ დაიციან აგვიპ-ტეს სრული დამოუკიდებლობა. არა-ვითარ სხვაგვარ აზრს დელეგაციის წევრნი არ უნდა დაეთანხმონ, არა-ვითარ ამის საწინააღმდეგოდ მიმა-რთულ გავლენას ისინი არ უნდა დაემორჩილონ.“

რუსეთი.

წითელ არმიელების განადგურება (მოხალისეთა რადიო 8 სექტემბ.)

ჩვენმა მამაცმა ჯარმა განადგურა მე-13 ქვეითი და მე-14 საბჭოთა ლაშქარი. აღებულია: კურსკი, ლეო-ვი, რილსკი, კონოტოპი, ბახმაჩი. დიდია ტროფეი. მერვე ლაშქარი უწყსრიგოთ იხვეს ყველა ნაწილებ-ზე. მოწინააღმდეგეების ფრონტი განადგურებული და გარღვეულია.

დახვრეტა. „ოდესკია ნოვოსტი“ იტყობინება, რომ ადესაში მოხალი-სებმა დახვრეტეს ცნობილი პოლ-შევიკი ქალი ანჯელიკა ბალაბანო-ვისა.

უკანასკნელი სმოგავი

საერთო მდგომარეობა დაღეს-ტანში.

მთიულეთიდან ჩამოსულ მგზავრე-ბის სიტყვით თითქმის მთელი და-ღესტანი ღელავს და თავის დამოუ-კიდებლობისა და თავისუფლებისა-თვის თავგანწირულად იბრძვის. მი-უხედავად მრავალი მსხვერპლის გან-წირვისა და აობრებისა, მთის ხალხი მოუღალავად იბრძვის მოხალისეთა წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ დაღესტნის უდიდესი ნაწილი უკვე

გაწმენდილია მტრისაგან და მოხ-ჯარმა დაპყარა აქტიუობა ლ ბრძო-ლის უნარი. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ყაზახები აჯანყებულებთან ბრძოლაზე უარს აცხადებენ და უ-ბრძოლველად სტოვებენ პოზიციებს. დენიკინის ჯართან ერთად დაღეს-ტნის წინააღმდეგ იბრძვის, მოლალა-ტე გენერალი ხალილოვიც. მთიუ-ლები დამარცხებულ მოხალისეებზე შურს იძიებენ. მათ გუნების აღების დროს ამოყლიტეს ყაზახების მთელი გარნიზონი რიცხვით 400 კაცი.

გაზ. „ვოლნი გორცის“ კორესპო-დენტის ცნობით უკანასკნელ დღე-ებში აჯანყებულებმა მთელი დაღეს-ტანი გასწმინდეს, მათ მოხალისეთა-გან ხელთ იგდეს 1, 200 ტყვე, 23 ტყვიის მფრქვეველი, 2,000 ვინტო-ვკა, მრავალი ათასეული პატრონა და სამხედრო მასალები. ამის შემ-დეგ აჯანყების მეთაურის ალი ჰაჯი აკუშინელის განკარგულებით აჯან-ყებულებმა დაიჭირეს ყველა მთების გასავალი და სტრატეგიული პუნ-ქტები. ყველა აულებსა და სოფ-ლებს დადგენილებანი გამოაქვთ, სა-დაც მოითხოვენ, რომ ძალა უფლე-ბა გადაეცეს ალი ჰაჯი აკუშინელს.

მთიულთა მეჯლისის პრაზიდუმიის განცხადება.

გაზ. „ზნ. ტრ.“ გაჩნდა შენიშვნა, რომელიც გადაბეჭდა სხვა გაზეთებ-მაც, შემდეგი შინაარსის:

„როგორც ხმები, დაღესტნელე-ბის საშველად მოვიდა ოსმალთა ნა-წალები, რომელნიც, მათთან შეერ-თებით აწარმოებენ სამხედრო ოპე-რაციებს.“

ყველა ცრუ ხმების გასაფანტავთ კავკასიის მთიულ ხალხთა შეკავში-რებული მეჯლისის პრეზიდუმი, თა-ვის ვალად სთვლის განაცხადოს, რომ არავითარ ოსმალური ნაწი-ლები დაღესტანში არ აწარმოებენ ოპერაციებს, და თუ დაღესტნელთა რიგში არიან ცალკე ოსმალთა-მოხა-ლისეები, ისინი ღებულობენ მონა-წილეობას აჯანყებაში ისევე, რო-გორც სხვა ეროვნებათა მოხალისენი. აჯანყებული მთიელების სამხედრო ნაწილები ღიაა ყველასათვის რელი-გიისა და ეროვნების განურჩევლად ვინც კი მათთან ერთად დაიცავს მთიულ ხალხთა თავისუფლების სა-ქმეს.

მთიულ ხალხთა შეკავშირებულ მეჯლისის თავჯდომარე შავისუბთ ცალიკოვი.

მასკოლ გელთა კავშირები

21 სექტემბერს, დილის 12 საათ-ზე, ქუთ. ვეთა პირველ გიმნაზიაში მოწვეულ იყო დას. საქ. საშუალო სასწ. მაწავლებელთა კრება, რო-მელსაც დაესწრო საქაო რიცხვი კავშირის წევრებისა. კრება გახსნა კავშირის გამგეობის თავჯდომარემ ბ. ნ. მისაბიშვილმა და მიმართა და-

მსწრეთ აერჩიათ თავმჯდომარე. კრე-ბის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ალ. თორაძე, მდებარე მ. ჩიჩე-ლაშვილი.

დღიურ წესრიგში შედგომდა გან-სახილველად შემდეგი კითხვები: 1) პედაგოგიური საბჭოების ავტონომია და გამგეების დამოკიდებულება ამ ავტონომიასთან, 2) მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა, 3) სკოლე-ბის რეორგანიზაციის საკითხი, 4) კა-ვშირის კოოპერატივი და წიგნის მალაზია, 5) წევრების რეგისტრაცია, საწევრო გადასახადის რაოდენობა და სხვა მიმდინარე საკითხები.

პედაგოგიური საბჭოების ავტონო-მიის შელახვის შესახებ მოხსენებას აკეთებს კავშირის გამგეობის წევრი ბ. თ. ქუმბურიძე. გულის ტკენით აღნიშნავს იმ მდგომარეობას, რო-მელშიაც ამ ბოლო ხანს იმყოფება ქუთაისის ზოგი სასავლებელი. ხაზს უსვამს ზოგიერთი გამგის თვითნებო-ბას და აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ თუ გასულ წელს პედაგოგიურ საბჭოებს უფლება ეძლეოდა აერჩიათ მასწავლებლები, წელს უკვე ეს ასე არ არის. ზოგიერთი გამგე თითონ იწვევს და აღგენს მასწავლებელს დასამტკიცებლად. თუ არ ვცდები, ამბობს ის, სამინისტროს უფლებას დირექტორ-ინსპექტორების დანიშვნა შეადგენდა, მასწავლებლის არჩევის უფლება კი პედაგოგიურ საბჭოებს ენიჭებოდა, ამის შესახებ უკვე ერთ-გვარი ინსტრუქცია იყო დაგზავნილი, მას შემდეგ კი არ შეცვლილა და ძალიან მივირს ვინ მიანიჭა დი-რექტორებს ეს აბსოლიუტური უფლება. სამინისტრომ დასჯის სახით ორი ჩვენი ამხანაგი გადაიყვანა წმინდა ნინოს სასწავლე-ბლიდან და როგორც ის გადაყვანი-ლი ამხანაგები ამბობენ, მათ არც კი იციან თუ რად დასაჯენ ისინი. საქირთა გამოვარკვეოთ ასეთი მდგო-მარეობა, საიდან არის ეს განკარგუ-ლება.

იერონიმე არხენიშვილი. სიმარ-თლე მოგახსენოთ, ჩვენ შარშან დიდი მუშაობა დაგვიტარდა, არა ერთი და ორი სხლამა მოვანდომეთ ამ უფ-ლებების მოპოებას, მაგრამ, ბოლოს მაინც არა სასურველი ამბები ხდება. მე არ მკონია ისეთი დირექტორი იყოს, რომ ასე თვითნებობდეს, რო-გორც ამას აქ გაიძახიან; აქ საკით-ხი სულ სხვა გვარად უნდა დავაყე-ნოთ.

მე მოვიტხოვ ამ კავშირის უფრო მტკიცე ნიადაგზე დაყენებას, უფრო მტკიცე ნიადაგზე დაყენებას, უფრო მეტ საქმიანობას სანამ ჩვენ კავშირს არ ექნება ძალა, მანამდის მას მთავ-რობა არავითარ ანგარიშს არ გაუწევს ჩვენ, რომ ახლა რაიმე დადგენილე-ბა გამოვიტანოთ, ეს იქნება მილოოდ რცნება და სხვა არაფერი.

იმნაძე — მე ძალიან კარგად მესმის, როცა ამბობენ სულთა კავშირიო, მოგახსენებთ, რომ არც ისეთ სუს-ტნი ვართ, ჩვენ ვიბრძოდით ამ უფ-ლებებისათვის და მართალია სხვა და სხვა გარემოებამ ხელი შეგვიმა-ლა, მაგრამ ბოლოს ჩვენ მაინც მი-ზანს მივალწით, მთავრობისაგან გა-სული წლის 8 ნოემბრის თარიღით

მოცემული გვაქვს ერთგვარი ინსტრუქცია და ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ ხსენებული ინსტრუქციის ყოველივე მუხლი; არ კმარა თქმა ავტონომია მოგვისპესო, თქვენ კონკრეტულად უნდა დაასახელოთ მაგალითები, სადაც ადგილი ჰქონდა ამგვარ თვითნებობას და ჩვენ დავგმობთ ასეთ საქციელს.

თავმჯდომარე—ბატონებო, ქონდა თუ არა ადგილი ასეთ შემთხვევებს?!

შალვა სანიკიძე—სანამ კონკრეტულ შემთხვევას დავასახელებდეთ, ჩვენ მტკიცე უარი უნდა გავაცხადოთ, როგორც სამინისტროსაგან დანიშნული მასწავლებლის, აგრეთვე დირექტორის მიერ წარმოდგენილი კანდიდატის შესახებ.

ჭუმბურიძე. გარდა რამოდენიმე მასწავლებლის დანიშვნისა, აქ ორ კონკრეტულ შემთხვევას ასახელებენ: ორი ამხანაგი ქუთაისიდან ერთი ფოთსა და მეორე სოხუმს გადაიყვანეს უმიზეზოდ და ისინი ძალიან დასჯილად სთვლიან თავიანთ თავს, საქიროა გამოვარკვეოთ მათი მდგომარეობა და ვიცოდეთ შეადგენს თუ არა მასწავლებლის გადაყვანა პედაგოგიური საბჭოს მოვალეობას.

ინძაძე. კიდევ უნდა გავახსენოთ, რომ მთავრობამ ანგარიში გავიწვია და ამის შესახებ მოგვცა ერთგვარი ინსტრუქცია; პედაგოგიური საბჭოს მოვალეობას შეადგენს, როგორც მასწავლებლის არჩევა, აგრეთვე გადაყვანაც; ჩვენ ვემყარებით ამ ინსტრუქციას და აქედან გამომდინარე უფლებებს.

თავმჯდომარე კითხულობს ინსტრუქციის მე-9 მუხლს: „მასწავლებელთა თავისუფალ ადგილებზე პედაგოგიური საბჭოები ირჩევენ კანდიდატებს, რომლებიც დირექტორისა (ან პედ. საბჭოს თავმჯდომარის) მიერ წარედგინება განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად. თუ წარმოდგენილი კანდიდატები დამტკიცებული არ იქნა, დირექტორს, თანახმად პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებისა, უფლება აქვს წარმოადგინოს ახალი კანდიდატი და თუ უკანასკნელიც არ იქნა დამტკიცებული, იმ შემთხვევაში მასწავლებელს ნიშნავს თვით განათლების სამინისტრო“.

(შემდეგი იქნება.)

ქალაქის საბჭო.

22 სექტემბერი.

სასურსათო განყოფილების საკითხი.

(გაგრძელება, იხ. „ჩვენ“ № 159).

5. საყვარელიძე (სას. განყ. გამგე) სხვა და სხვა მიზეზების გამო სასურსათო განყოფილებამ ფართო მასშტაბით ვერ მოაწყო თავისი საქმე და შეძლებისდაგვარად აწვდიდა სურსათ-სანაკვავს მოქალაქეებს.

მომავალ წელში როგორც სჩანს

დიდი შიმშილობა იქნება და თუ ზომები არ იქნა მიღებული მოქალაქეები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებიან.

სასურსათო საქმის მოწყობისათვის საქიროა: 1) შეძენა და დამზადება სურსათისა და 2) მიზანშეწონილი განაწილება. ამისთვის საქიროა მტკიცეთ იქნეს დასული შემდეგი პირობები:—

1) ხელშეუხებლობა სასურს. თანხისა. ის უნდა იხარჯებოდეს მარტო სურსათზე. გამგეობას თუ არაჩვეულებრივი საქიროება ექნება ფული უნდა გაიყოს საბჭოს მიერ.

2) ვადაიდვას მთავრობის მიერ მოცემული სესხიდან ჩურსათის საქმის მოსაწყობათ მილიონ ნახევარი მანეთი იმ პირობით, რომ სასურსათო განყოფილებამ ნაწილობრივ გადაუხადოს გამგეობას.

3) გამგეობის საქიროებისათვის დაეღოს სასურსათო განყოფილების მიერ შეძენილ სურსათს 00/00. სხვა თანხა კი უნდა ტრიალებდეს სურსათის საქმის გასაფართოებლად.

4) ეთხოვოს მთავრობას აძელოს თავის სასურსათო ორგანოები შესცვალონ თავიანთი დამოკიდებულება და სურსათის დანაწილების დროს ქუთაისსაც აძელოს სურსათი.

5) გამოყენებულ იქნეს სურსათის დამზადებისათვის კერძო კაპიტალიც.

6) მოეწყოს თუ საქიროება მოითხოვს საქონლის გაცვლის საქმე უცხო ბაზარზე.

მოითხოვს მოხდეს რეორგანიზაცია საუბნო კომიტეტებისა და მოხდეს ქალაქის ხელახალი აღწერა. მოითხოვს აგრეთვე რომ სასურსათო საქმეს დაუახლოვდეს გამგეობის ერთი წევრი და სასურსათო გამგის არყოფნის დროს ის ახდენდეს განკარგულებას.

თუ ეს პირობები დასული იქნება სასურსათო განყოფილება შესძლებს საქმის გაკეთებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესი იქნება მისი გაუქმება.

თავმჯდომარე; ვის სურს შეკითხვა შემოიტანოს!

ტრ. ჯაფარიძე (ერ. დემ.) აქ ჩვენს მიერ შემოტანილი იყო წერილობითი შეკითხვები. ჯერ იმათზე გავვეცით პასუხი.

6. საყვარელიძე: შემოტანილი იყო 3 შეკითხვა 1) თუ რამდენი მოსამსახურე არის განყოფილებაში, 2) რამდენად ყიდულობდა სურსათს განყოფილება და რამდენად ჰყიდდა და 3) რამდენი სურსათი განაწილდა მოსამსახურეებზე.

პირველი შეკითხვის შესახებ საყვარელიძე ამბობს, რომ განყოფილებაში მსახურობს 28 კაცი. მაგრამ აღმოჩნდა რომ ამ ფაქტზე ბევრს მათგანს საქმე სულ არა აქვს და ზედმეტი არიან სასურსათო განყოფილებისათვის. მეორე შეკითხვის პასუხიდან გამოიკრვა, რომ სასურ

სათო განყოფილება რომ მას მოგება დარჩენოდა დიდ პროცენტებს ადებდა სურსათს: მესამე შეკითხვის შესახებ გამგემ სთქვა რომ მოსამსახურეები არავითარი პრივილეგიებით არ სარგებლობდნ და სურსათს ღებულობდნ საერთო წესით.

გამგის მოხსენებიდან გამოიკრვა აგრეთვე, რომ განყოფილებას ერთი წლის განმავლობაში დარჩენია 1.713.921 მანეთის მოგება.

ტრ. ჯაფარიძე მოითხოვს გამგეობის აზრს

ბ. რომაძე. გამგეობას ერთი მთლიანი აზრი ამის შესახებ არა აქვს. გამგეობის წევრები სხვა და სხვა აზრისანი არიან მოხსენების შესახებ, რაც კამათის დროს გამოიკრვევა.

ტრ. ჯაფარიძე (ერ. დემ.) სასურსათო განყოფილების გამგის მოხსენება ბევრს რასმე გვეუბნება. ერთი ნაწილი მოხსენებისა, რაც უნდა გამოაკვეთილიყო უკვე გამოიკრვა. ნათლად სჩანს რომ სასურსათო განყოფილება თავის მიზანს ვადაცდენია; მას მცხოვრებლებსათვის სურსათი უნდა მიეწოდებია და ამ მხრივ უზრუნველ ეყო ისინი. არ შეადგენს, კამათის საგანს რომ სასურსათო განყოფილებამ სურსათ-სანაკვავზე უნდა დამზადოს, მოიტანოს და მით მოქალაქენი უზრუნველჰყოს თუ კერძო პირებიც კი ახერხებენ სიქონლის შემოტანას, მით უმეტეს ეს სასურსათო განყოფილებამ უნდა მოახერხოს სასურსათო განყოფილებას არ შეუძლია იმ შემთხვევაში კერძო პირებს საშუალება უნდა მისცეს დაუბრკოლებლივ მოიტანონ სურსათი. მეორე მხრით სასურსათო განყოფილებისათვის მთავრობასაც შეუშლია ხელი, ხოლო რაც მოუტანია ისეთი პროცენტები დაუდვია რომ მოგებათ 2 მილიონ მანეთამდის დარჩენია. მე ამით იმის თქმა კი არ მინდა ვითომც ქალაქს ფული არ სჭირდებოდეს, არა მაგრამ ჩვენ მცხოვრებლებს დახმარება უნდა გავუწვიოთ, ბევრად სჯობდა არაფერი მოგვო განყოფილებას და მოქალაქეთათვის კი დახმარება გავუწვია. ეს უნდა იყოს მიზანი სასურსათო განყოფილებისა.

როგორც ვსთქვი სასურსათო განყოფილება დასცილებია თავის მიზანს და უფრო სპეკულიაციის დაახლოებია. ამა რას ჰგავს როდესაც 15 მანეთიან საქონელს 25 მანეთად ჰყიდის!

არ ვიცი რით ხელმძღვანელობდა განყოფილება ან რას ფიქრობს. განაწილებს რაც მოუვა? თუ მხოლოდ ამისთვის უნდა არსებობა, იგი ზედმეტად მიმაჩნია და იგი იქნება მხოლოდ მცირე კომისია. რაც შეეხება ცული საქონლის დამზადებას ეს განყოფილებას არ შეეფერება, ამას ჩარჩებიც არ სჩადიან და ასეთი დიდი პროცენტების დადება კი დიდი შეცდომაა.

როგორც ვსთქვი სასურსათო განყოფილება დასცილებია თავის მიზანს და უფრო სპეკულიაციის დაახლოებია. ამა რას ჰგავს როდესაც 15 მანეთიან საქონელს 25 მანეთად ჰყიდის!

არ ვიცი რით ხელმძღვანელობდა განყოფილება ან რას ფიქრობს. განაწილებს რაც მოუვა? თუ მხოლოდ ამისთვის უნდა არსებობა, იგი ზედმეტად მიმაჩნია და იგი იქნება მხოლოდ მცირე კომისია. რაც შეეხება ცული საქონლის დამზადებას ეს განყოფილებას არ შეეფერება, ამას ჩარჩებიც არ სჩადიან და ასეთი დიდი პროცენტების დადება კი დიდი შეცდომაა.

ჩვენ არ გვახსოვს, რომ სასურსათო განყოფილების მიერ მოტანილი სურსათი ბაზარზე თანადილიყო. აქ მომსწინებლობა აღწერა რომ უკვე დაიწყო განაწილება.

მიზეზია მერე. მოუვლელიობით ფული წაახდინეთ და ცხადია დაკლებულ ფასებში უნდა გაყიდოთ.

მოსამსახურეებს სურსათის მიმის მაქმეში უსათუოთ უნდა ექნებოდეთ, მაგრამ სასურსათო განყოფილება არ უნდა გარდიქნას სამსახურეთა კოოპერატივით.

კონკურენციის გაწევის მხრით განყოფილება მეტად სუსტი აღმოჩნდა თუ განყოფილებამ კონკურენციას არ გასწვია იგი ისე ვერ იარსებებდა როგორც მოვიქცეთ? აქ წამყენებულია 6 მუხლი. ამ პირობების მიხედვით გამგეობა ხელს ვერ მოაწერს, რასაც აქ მოვისმენთ.

განყოფილებამ ან უნდა იარსებებდეს როგორც ასეთმა და ან თავისი ფაქტები შესცვალოს. უნდა შეიცვალოს აუცილებლად და იწარმოვს უფრო ვიწრო ფარგლებში.

როგორც ვსთქვი სასურსათო განყოფილებამ თავისი ფარგლები უნდა შეამოკლოს. საზოგადოებას ჩვენ ბევრს უნდა დავპირდებით, თორემ მოგტყვილებით. ჩვენ რომ მუნიციპალიზაციის გეგმადეს ყველაფერს მოვაწყობდით მაგრამ მონაპოლით არაფერი გაკეთებულა და არც გაკეთდება.

დასკვნა ასეთია: განყოფილებამ უნდა იწარმოვოს ვიწრო ფარგლებში, დაწესოს ნიხრი, გასწვიოს კანტროლი და კერძო ინიციატივას გზამისცეს. როდესაც უპირატესობით ვერ სარგებლობთ არც კერძო ინიციატივა უნდა ჩაახშოთ.

ხამ. ბ. მოსეშვილი: აღნიშნავთ იმ დამკრკოლებებს, რომელიც მთავრობას მიუყენებია განყოფილებისათვის, მაგრამ ამბობს, რომ ამის გვერდის ავლა შეიძლებოდა. ეხება აგრეთვე განყოფილების უზრუნველობას მოტანილი სურსათის მოუვლელიობის შესახებ და იმედს ჰკარგავს რომ ეხლანდელი სასურსათო განყოფილება ვერაფერს გააკეთებს.

ხმ. ა. პაპავას არ მოსწონს ხმ. ტრ. ჯაფარიძის გამოსვლა. იგი ყველაფერს ვაჭარმრეწველთა კლასს აბრალებს, იწონებს სასურსათო განყოფილების პოლიტიკას და დასკვნის რომ სასურსათო განყოფილებამ უნდა იარსებოს, იგი კიდევ უნდა გაფართოვდეს და თუ სურსათს ვერ დაამზადებს, განაწილებს მაინცო.

თავმჯდომარეს წინადადება შემოაქვს, რადგანაც უკვე 11 საათი შესრულდა სხდომა შემდეგისათვის გადაიდოს.

შემდეგი სხდომა დაინიშნა 24 სექტემბერისათვის.

X.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.